## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის უფლების მქონე სტუდენტთათვის სპეციალური კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის საფუძველზე

### ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის უპირატესობა მიეცეთ იმ სტუდენტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს (ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

ა) სოციალურად დაუცველი;

ბ) მარჩენალდაკარგული;

გ) იძულებით გადაადგილებული/დევნილი;

დ) ლტოლვილი;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტუდენტი და/ან მშობელი);

ვ) მძიმე ჯანმრთელობის პრობლემის მქონე (სტუდენტი და/ან მშობელი);

ზ) მარტოხელა დედა;

თ) სტუდენტი მრავალშვილიანი ოჯახიდან;

ი) დასაქმებული სტუდენტი;

კ) სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და-ძმა, ცოლ-ქმარი სტუდენტები;

ლ) თანამშრომელი;

მ) თანამშრომლის შვილები;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის/კრიტერიუმების მქონე სტუდენტმა, შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე, არაუგვიანეს 5 სექტემბრისა, ხოლო პირველი სასწავლო წლის სტუდენტმა არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, უნდა მიმართოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით გრაფიკის დაწესების თაობაზე, რომელსაც თან უნდა დაერთოს გრაფიკის დაწესების საფუძვლის დამადასტურებელი საბუთი.
3. 2011-2012 სასწავლო წლისათვის ჩარიცხული მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, ამ ბრძანებით განსაზღვრული პირობების მიხედვით, განცხადებით მიმართავენ უნივერსიტეტს 2012 წლის 20 თებერვლამდე.

4. ამ ბრძანების მეორე და მესამე პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება განიხილება სტუდენტური სერვის-ცენტრის მიერ 10 დღის ვადაში და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
5. დაევალოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსს, თამარ ცაგარეიშვილს, ბრძანება განათავსოს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა - არგუსში;
6. დაევალოს სტუდენტურ სერვის-ცენტრს, პირველი სასწავლო წლის სტუდენტთა სასაჩუქრე ჩანთაში განათავსოს ინფორმაცია ამ ბრძანების შესახებ;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ლელა ხომერიკს.
8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **სერგო რატიანი**